



ახსოვს გაკვეთილი



რომის პაპი: — რაღას უცდი, რად არ იწყებ?

მილიტარისტი: — მეშინია, ვაი თუ აღიფე პასუხი მივიღო, როგორც აღმ. ჩინეთის რკ. გზებზე.

ვატიკანის საიღუილოებანი

ვატიკანის „სამეფოში“ ტრადიციული ძუღროება აღარ სუფევდა. რომის პაპა პის (ანუ ვატიკანის უგვირგვინო მეფეს) მეცამეტე წელია, რაც სულიერი სიღმეიდღ დაეკარგა. უძილობა დასჩენდა, დილაობით ცუდ გუნებაზე დგებოდა, ნერვიულობდა, რის გამო მისი სასახლის მსახურნი შიშისაგან ცახცახებდნენ.

ბურჯუაზიული გაზნებებიც მწუხარებით აღნიშნავდნენ პაპის „უზასიათობას“ და მიზეზათ ოქტომბრის რევოლიუციას და საბჭოთა ქვეყნის არსებობას ასახელებდნენ.

ერთ საღამოს, როცა პაპი პი მე-XI ვატიკანის ბაღში მდინარი ტაბერის ნაპირად, განცხრომას ეწეოდა კურტიზან ქალებთან, მას ზეციდან ჩამოესმა პეტრე მოციქულის ხმა: (ასე უამბია პის კარდინალებსათვის):

— წმინდაო პის, ბრძანებლო ვატიკანისა. აღმფოთებული ვართ ზეციერნი ბოლშევიკების მიერ სამფლობელოსა თქვენისა წაბილწვის გამო. წყუღ იყონ ისინი ამიერიდან უკუნისამდე. დანგრეულ და გაცამბტვერებულ იქნას საბჭოთა ქვეყანა და აღდგენილ იქნას თვითმპყრობელობა ნიკოლოზისა, შენ კი უწმინდოსო (თუ უწმინდურესო, ასოთ-

ამწყობი), პი, დადგენილებთა ზეციურ წმინდათა საბჭოსი მამა დმერთის თავმჯდომარეობით, განუსახლვრელ - უფლებებით ხართ აღკუთვნილი ბოლშევიკებთან ბრძოლისათვის. გამოყენებულ იქნას ყველა საშუალებები ბურჯუაზიულ ქვეყნების, ვინც წინ აღვიდგეს ჩვენი წყევლა არ მოაკლდეს მათ. ღვთიური საღამით, პეტრე მოციქული.

იმ დღიდანვე პაპ პი ამზადებდა ომს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. ერთი რამ აწყუხებდა მას მარტო წყვეა-კრულვით, ჯვარებით და ხატებით წითელ არმიას ვერაფერს დააკლებდა. ამიტომ მას თავის შავი ზრახვებისათვის ბურჯუაზიული ქვეყნების შეიარაღებული ძალები უნდა გამოეყენებებია.

— ომი საბჭოთა ქვეყანას! — უბრძანა მან ბურჯუაზიულ სახელმწიფოებს ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავზე.

— არ შეგვიძლია სულიერო მეუფევი! დავმარცხდებით! იფეთქებს რევოლიუცია ჩვენს ქვეყნებში! იყო საერთო პასუხი მსოფლიო ბურჯუაზიის.

— ომი საბჭოთა ქვეყანას! მეორედებოდა ბრძანება პაპის ყოველ წელს.

ბურჯუაზიული სახელმწიფოების პასუხიც ერთი და იგივე იყო: — ჩვენ გვინდა ომი. ვემზადებით ომისათვის. ჯერ კი ვერ შევძლებთ. დავმარცხდებით!

პაპა პი ვერ ურიგდებოდა საბჭოთა ქვეყნის არსებობას. ნერვიულობდა. კარდინალებს უჯავრდებოდა. ერთ დღეს, როცა პი ღრმა ფიჭრებში იყო გართული, კარდინალმა მას სასინარულო ამბავი ამცნო.

— მეფეო ჩვენო, აღსრულდა ნება თქვენი, ბოლშევიკებში განხეთქილება მოხდა.

სიხარულით აღვზნებული პი კარდინალს გადაეხვია.

იმ დამეს პაპის სასახლეში ორგია იყო და პი ფოქსტოტის თამაშით ირთობდა თავს...

პაპის იმედი მინც არ გამართლდა. ბოლშევიკების პარტია მიმარჯვენე და მემარცხენე გადახრებთან ბრძოლებში უფრო განმტკიცდა.

— ომი ჯვაროსნული! — გაისმა პის ხრინწიანი ხმა და ბურჯუაზიული სამყარო შმორათ გადაიქცა.

— ჯვაროსნულ ომს მსოფლიო სამოქალაქო ომით ვუპასუხებთ, — გაისმა მსოფლიო მუშათა კლასის ძლიერი ხმა.

პაპი პი მე-XI ქკუაზე შეიშალა. ყუმბარა.

შეცდომის გასწორება

აქვე მოთავსებული ტექსტი შუა ნაწილია იმ წერილისა, რომელიც დაბეჭდილია „ტარტაროზი“-ს გასულ ნომერში მესამე გვერდზე (იხ. „ცამეტი—კვიმატი“ ს. თ-ია). ეს ტექსტი პირველი სვეტის გაგრძელებაა.

ცამეტი--კვიმატი

მსურდა, შეჯიბრის შედეგი რომ ეს ყოფილიყო!..

ჩემი მხრით კი მათ ვეფიცებოდი:

ყოველნაირათ მე ვეცდებოდი,

შეჯიბრების შესრულებას

სრულებით.

და მართლაც,

მე შეევასრულე ფიცი პირნათლათ.

გამოდევნილ კულაკებსაც კი, —

რომლებსაც სრულებით არ ვეტრფი, —

ვღებულობდი ისე თავაზიანათ,

რომ მიყენებული ზიანით

თითქოს კმაყოფილი რჩებოდენ,

როცა მე გამშორდებოდენ!..

მაგრამ კოპერაციის მუშაკებისაგან,

დაწყებული გუშაგებისაგან,

და გათავებული ნოქრით, თუ გამგეობის წევრით,

(ყველაფერი არა, მაგრამ უფრო ბევრით).

სიკეთე არა გამოვიდა,

თუმცა საკმაო დრო კი გავიდა.

იგივე არის დღეს მითქმა-მოთქმა,

(მელოტსაც უაღუწე აუღგება თმა!),

მუშტრისადმი იგივე მოპყრობა,

დახლის ქვეშ ჩუმათ ფართლის შეწყობა!..

ნოქარს რომ ათასჯერ შეეკითხო,

ამა თუ იმ საქონლის ფასი ჰკითხო, ერთხელ ვერ მიიღებ იმიხგან პასუხს, სახეზე კი აზის

გამომეტყველება ბოროტი რამ აზრის. ამიტომაც ხდება,

წინ მოტანილი საქონელი—უკანიდან ჰქრება! ცოტა ხნის შემდეგ,

ქერძო ვაჭართან თუ შედით... ს. თ.—იან *).

*) ს. თ.—იან.

გვქონდა თათბირი: „ეს შეცდომა ვისი ბრალია? ავტორი ს. თ.—იან „ტარტაროზზე“ მეტად მწყრალია“. გამოვიკვლიეთ. ვნახეთ თქვენი ორიგინალი, და გავიყავით ამნაირად ჩვენ ყველამ ბრალი: დამნაშავეა აქ ავტორი და კორექტორი.

მშრალად ვერ გაძვრენ ვერც მდივანი და რედაქტორი, ავტორი მიტომ—რომ ცალ გვერდზე მან არ დასწერა, (რომ ამ ბრალდებას თქვენ მიიღებთ ვიციოთ და გვჯერა). რედაქტორს უნდა აღენიშნა: „მეორე გვერდზე“, და არ გაეშვა უშენიშვნოდ ეს ალაღ-ბედზე. მდივანსაც უნდა შეემჩნია ეს ამბავი

თა გაეგზავნა შემდეგ ტექსტი დასასტამბავი. კორექტორს ტექსტი თვით დედანში უნდა ენახა და არ დაეღო სწორების დროს მოქნარებით ხახა. გავანაწილეთ ამნაირად ჩვენ ეს ბრალდება, რადგან შეცდომა სათითაოდ ყველას გვბრალდება. და ამნაირად ეს შეცდომა არს ყველას ბრალი, და „ტარტაროზზე“ ნუ დარჩებით, ს. თ.—იან, მწყრალი. ტარტაროზი.

ოი, წმინდაო...

(არანის ხმაზე)


პი-ი... პუ-უ... პაპი რომის
მოსურნეა ჩვენთან ომის!
აბრიალებს რისხვით თვალებს,
და უხმო რა კარდინალებს,
დაავალა ყველას ლოცვა:
ესეხერელთ ამოხოცვა
და წყევლით და გადაცემით,
და მჯიღების მკერდში ცემით
საკურთხეველის წინ დახოჭილს
ლამის გასძვრეს წყევლით ქოქი...
ისტორია თვალს მიწყალებს,
„ცრუ—სიდორეს“ დეკრეტალებს
რომ ვიგონებ, პაპის შეთხზულს;
თუ რეიმისი კრებას, შეთქმულს,
მწვალებელთ რომ ბრძანა აღგვა:
გახურებულ შანთით დაღვა!
ანუ წმინდა ლიუდოვსკის,
მის ბრძანებას, შეეზნელ დროის,
მწვალებელთა დაწვით დასჯის
ბნელი ლაქა ახლაც აზის!
ისტორია ვერ ამორებს...
აღარ შერჩათ მათ ავტორებს,
არც სინდისი, არც ნამუსი:
დასწვეს იოანე ჰუსი,
და ჰუსი კი აღსდა გმირად,
თავს დაატყდა მათვე ჭირად!..
მათ ჯორდანოც, დასწვეს, ბრუნო,
მაგრამ დრომ კი შეაბრუნა
ისტორიის ზომა-წონა:
მწველები თვით დაიმონა,
გააშავა, გააფასა,
ძლევის მთაზე აიყვანა,
და დიდების შუქით ჰბანა!..
მათვე დასწვეს კამპანელა,
ამან ხომ მთლად დააბნელა
პაპის ტახტის ელვარება!..
ის შავს ჯალათს ედარება,
ვინც რომ დასწვა ჰალილეი,
ბევრად უფრო შავი დღეი
დააყენა ამან დამწველს,
ვითომ ქრისტეს მცნების დამ-

ცველს,
ნამდვილად კი „ღმერთს“ ტყავს
ხდიდნ:

ოცდაათჯერ დღეში ჰყიდდნ,
თითოულ ჯერ—თითო ვერცხლათ.
ნუ თუ კიდევ აღარ, შერცხვით?
ვით-და სძრავენ კიდევ ხმასაც,
როს გაუსწრეს იუდასაც
სამარცხვინო ამ საქმეში?
მაგრამ იგრძნობს ამას ლეში
დამთხვეული რომის პაპის?
მადლობა მისი „თავის ხაპის“,
ძლევა ჰქონდეს იმის ლოცვას!..
ესეხერელთ ამოხოცვას,
აღრეც ბევრი შენატრიდა,
ბნელი ხალხის სისხლს რომ
ღვრიდა.

აზოვის თუ კასპის ველზე!
ხმლებო, ერტყათ, რაღა, წელზე
და სკაპტრაზეც ოცნებობდნ,

ოი, წმინდაო უმანკოებავ!



თაშიზმის კოზირი

შემდეგ ზღვის გზით რომ გარბო-
დენ

ქულ-მოშველებით თავშიშველი,
ვით კურდღელი ანუ შეელი. „
პი-ი... პუ-უ... დივტი...დავტი...
ჩაახალეთ მაგ მკვდრებს თავში
მკვდარი კატა, სადმე თუა,
სულ დაჰკარგეს აზრი, ჭკუა
ქსენებმა და რაბინებმა:
რა წყევლა თუ რა გინება
დაანთხია პირმა მათმა,
სინციტმა თუ რობინატმა...
ეს კენტურობის არქელიც
რომ აღარ გვეყვს მადლიერიც?!
ისიც ამ ხალხს მიეკედლა,
მანაც ჩვენთვის წველა შესთხზა,
და ამ რიგათ ეს კონცერტი

არც ნაკლები და არც მეტი,
ტურა—ფოცხვერთ შეჰგავს
ჩხავილს...“

აჰევა ხალხის ენის ქავილს,
ზურგის ფხანაც რომ არ სჭირდეს!
ან სასმენად მაინც ლირდეს...
პი-ი... პუ-უ... მეც მათ გყვები
და მუსიკით ვერც კი ვძლები...
პი-ი... პუ-უ... პიტა... პეტა...
თუ გულდა არ დემეჩუტა,
განა, ჩემი? რომის პაპის,
მადლობა მისი თავის ხაპის!
პი-ი... პუ-ი... პიტა... პიტა...
ოი, „სანკტა სიმპლიციტა“!..
პუ-უ-უ-უ!..

ონისიმე.

წერილი რომის პაპსთან


...ისინი ცრუობდნ და გაიძვერობდნ, აწყობდნ
ჯვაროსნულ ლაშქრობას და სავაქრო ავაზაკურ ექს-
პედიციებს, საიდანაც შემოიბრუნეს ადგილობრივ ერთა
სიძულვილი და სიწმილისი, რომლითაც დალპა
თმით პაპების რამოდენიმე თაობა.
ამხ. ბუხარინის წერილი

ვკანდნიერდები „წმინდა მეუფე“,
და თუნდ გამკიცხე, დამარქვი ხელი,
მაინც გიგზავნი, ურჩი, ამ ბარათს, —
მე — „ტარტაროზის“ საკუთარ ხელით.
ჯერ მოგიკითხო მინდა შორიდან
„პეტკას“ მემკვიდრე, მისი ნაცვალი,
როგორ ბრძანდები, მამაო პიი,
როგორ გადგია ტანზე საცვალი?



მე მართებულად ვახსენებ საცვალს: —
როცა აჩრდილი კომუნის დადის,
ბევრის საცვალი შიშისგან ხშირად,
წელიდან დაბლა, კოჭებში ჩადის.
შენს ჯანმრთელობის შესახებ ცნობებს
ძვირად ღებულობს საბჭოთ ქვეყანა,
და შენზე „დარდით“ რომ „გვიკლავ“ გულებს
დასაშვებია „წმინდანო“ განა?
შარშან გაზეთში ამოვიკითხე
ტელეგრაფა თუ რადიო-ცნობა
„რამღე“ გავაგდე გაზეთი ხელში
და „ჯავრით“ ლამის „დავკარგე“ გრძნობა,
გავიგე იმით, რომ უცნაური
გამოგჩენია სხეულზე სენი,
„წმინდან“ ქალების ხვევნაში სურდათ
უბრუნებს იმ სენს აზიკთ „გამჩენი“.
შენი ლოცვები, როგორც იობის,
ცას შეუწირავს, ნათლად სჩანს ამით,
რითი მკურნალობ ნეტავი, მითხარ,
აიპაშაბთი თუ სალვარსანით?
თუ ვატიკანში მსწრაფლ არ გახსენით
ვენერიული თქვენ დისპანსერი,
მაშინ მერწმუნეთ, რომ არც ერთ „წმინდანს“
ალარ შერჩება თმები და წვერი.
თუმცა წვერებზე რა ღროს ფიქრია,
როცა ქვეყანა ირევა სრულად,
მოსკოველ წითლებს უჯერის ხალხი
და შენს დარბაზებს უცქერის მტრულად.
სულ მთლად დაეცა ხალხის ზნეობა
დაპკარგეს შენი პატივისცემა
და სასწაული კი მალალ ცვიდან
დაავიანა იმათთვის ძემა.
ბარათებს „ცოდვის მისატოვებელს“
ალარ ყიდულობს, ვით ძველად, ხალხი
და ვატიკანის „დახლომაც“ იკლო,
დაცარიელდა იმიტომ დახლი.
ქორწილ-ქელეხმაც მოიკლო ყველგან,
ჩუმიდ მარხავენ, ჩუმიდ კვდელნი,
ნათვლაც ისპობა, რადგან ბავშვები
დღეს იშვიათად იბადებიან,

სულ სხვა დრო იყო წარსულში, წინად
ქორწილ-ქელეხი ხშირად ხდებოდა,
და თვით ბავშვების შექმნაში პაპი
ერის კაცს არც კი ჩამორჩებოდა.
ერთი თქვენგანი ამ მიზნით კიდევ
დაუკავშირდა საკუთარ ქალსა: —
საპატიარ ასულს, არ ეთხელ ნახეს
როს „წმინდანურად“ იხდიდა ვალსა.
მეორემ პირველს კიდევ აჯობა
(რამდენ სასწაულს მოეწრო რომი!) —
ეს მოხდა მაშინ, როს პაპის მიერ
ჯვაროსანების დაიწყეთ ომი!
როდესაც პაპა ქრისტეს რაინდებს,
მიაცილებდა რომში ქუჩაზე,
პაპას მუცელი ეტკინა უცებ,
და გადავარდა ცხენიდან წაშვე.
სურათი იყო გასაკვირები:
პაპას — მამაკაცს, — მუცელი სტიკვა,
ქუჩის ნაპირზე ვდია ფეხმძიმე
და საცოდავით შკივა და შკივა.
შემოხვევიან მოქალაქენი,
უცებ შეიქნა ჩოჩქოლი ხალხში,
მათ სასწაული ნახეს უცნობი:



პაპას მუხაში ეყოლა ბავში.
ხალხს მამაკაცად, რომ მოეგლინა
ის პაპა იყო თუ რომელ სქესის,
ან ვითარ იყო „უმანკო“ იგი,
ეს „ტარტაროზის“ მკითხველსაც ესმის.
და მე კი იმას აღვნიშნავ მხოლოდ,
რომ ამრავლებდნ პაპებიც ძველი
„სასწაულების“ სჯეროდა ხალხსა;
სცხოვრობდნ „უფლის მცნებათა მცველი“
თვითონ პაპები აძლევდით ყველას
„სათნობის და რწმენის“ მაგალითს,
დღეს კი იარაღს, რომ აჩხრიალებ
რას გამორჩები ნეტავი ამით?
ან და მუქარით ვის შეაშინებ
„პეტკას“ მემკვიდრე, მისი ნაცვალი?
ხელი მოუჭი მამაო პიი,
არ ჩავივარდეს ტანზე საცვალი; —
თორემ მუშები ურჩი ხალხია,
უკვე კომუნის აჩრდილი დადის
და მის შიშისაგან საცვალი ბევრის
წელიდან დაბლა, — კოჭებში ჩადის.

„ასი პროცენტით“

სოფლად კოლექტივების მოწყობა ზოგიერთმა ამხანაგებმა დამახინჯებულად გაიგეს:—ხბოიანი ძროხებიც კი ასწერეს კოლექტივებში შესაყვანად.



გლჰანი: (ბეითალს):— აბა, ექიმო, ჩქარა გაუკეთე ამ ჩემს მკაც ძროხას აბორტი, თორემ თუ ხბო მოიგო, კოლექტივში წაიყვანებენ.

„მოსსენება“

— ამხანაგებო, — დიწყო თემსაბჭოს თავმჯდომარემ, — მე რომ ბევრს ვმუშაობდი; ამაში ეჭვი არავის შეეპარება, რადგან აღმასკომში იშვიათად თუ მხანავდით; სულ ცხენზე ვიჯექი და დავდიოდი სოფლის სხვადასხვა კუთხეებში. ისე შევისწავლე ამ სოფლის გლეხობა, რომ ერთი კაციც არ მეგულება, რომლის სახლშიდაც პირადათ არ ვყოფილიყავი და პურმარილზე არ გამომერკვიოს მისი მდგომარეობა. წელს გაცნობას მოუხდი და გაიხად, თუ თქვენის წყალობით ისევ მე ვიქენი თავმჯდომარედ, ენერგიულ მუშაობას დაიწყებ.

განსაკუთრებით დიდი შედეგი გვაქვს სოც. შეჯიბრში, თუმცა ამ სოფელში არა, მაგრამ ეს სულერთია

(ჩვენ კუთხური თვალსაზრისი არ გვახსიათებს).

როგორც იცით, ჩვენ გამოვიწვიეთ მეზობელი სოფელი, რომელმაც ჩვენ გამოწვევას კიდევ დაუმართა. ასე, რომ ძველდა სასიხარულოდ მათ ყველაფერი შეასრულეს და დიდი მიღწევებიც აქვთ. ეს მიღწევები კი ჩვენ მიგვეწერება. ჩვენ რომ არ გამოგვეწვია შეჯიბრში, ისინიც არაფერს გააკეთებდნენ. ეს ერთი მომენტი აუცილებლად ჩვენი მუშაობის დამახასიათებელია.

მთავარი რაც არის, ეს არის თესვის კამპანია და კოლექტივიზაცია. გამიჭირვა საქმე, კაცო, ამ თესვის კამპანიამ. წელიწადში ორჯერ მომდის თესვის კამპანიის ჩატარების გეგმა. შემოდგომის თესვის კამპანია ორი კვირის წინ მოთავდა. ასე მალე არც კი დაავიწყდებოდათ გლეხებს

ჩემი მოხსენება და რა საჭიროა, გაზაფხულის თესვის კამპანია?

ხელი შეუწყობთ კოლექტივიზაციასო. კი შეუწყობთ ხელი, მარა იმათაც უნდა შემიწყონ ხელი, გუშინწინ თავისი კარგი ცხენი არ გათხოვეს — აგრონომისათვის გვკირდებათ, მინდოდა გამეგო—გამოაღება თუ არა ის ცხენი კოლექტივის.

„ხელმა ხელი დაბანა, ორივემ კი პირიო“—ეს არ იციან და მაგენი კოლექტივს შექმნიან?

—:—

აღმასკომის თავმჯდომარე ეხლა „ისვენებს“ და საყვედურობს: „ასე იციან პატიოსანი მუშაკის დაფასება. დამსვენეს გაჭირვალ ნიჩაფზე და სანაგვეში გადამაგდეს“.

ძგმუნტი.

ახლო ხანში გამოვა „ტარტაროზი“-ს სპეციალური

ქუთაისის ნომერი

თანამშრომლებს ვთხოვთ მოგვაწოდონ მასალები

გასმირნება თბილისში

უკვდავი სახელები

სახკინმრეწვემა, როგორც იქნა, ზოგიერთ თავის თეატრებს სახელწოდება გამოუცვალა. ეს კარგი საქმეა.



„უფასო ტრამვაი“

მაგრამ, თუ მას (სახკინმრეწვეს) ძალიან უყვარს რეკლამა, რატომღაც ახალ სახელწოდებებს პეტიტით აცხადებს გაზეთებში, ხოლო ძველს კი შავი (ხაზგასმული) ასოებით. (იხ. გაზეთებში განცხადება: „როზა ლიუქსემბურგის სახელობის ყოფ. მინიონი“)

კინო-თეატრს მოკლე და სხარტული სახელწოდება უნდა ჰქონდეს და არა—სამსართულიანი (რევოლიუციონერთა სახელის საპატივსაცემოთ ჩვენ სხვა საშუალებებიც მოგვეპოვება).

კარგია ყოფილი „არფასტო“—სპარტაკი.

რიგი სხვა თეატრებზეა. ტრამვაის ვაგონში (მარშრუტი 3, 4, 11, 12) ყოველთვის ისმის ვორონცოვის სახელი. ძველი აიღეს, ალბად ყიდვეც გადაადღულეს და ტრაქტორად აქციეს (ვინ იცის, ეგებ „ვორონცოვი“ სადმე კოლექტივის მინდვრებს სავსე ცხვირით!). მის ადგილას კ. მარქსის ძველი უნდა დადგმულიყო, მაგრამ რატომღაც ამდენი ხნის განმავლობაში ტფილისელები მაინც იხსენიებენ ვორონცოვს!

თუმცა ვორონცოვის ოღენა კაცი არ იყო ზემელი, მაგრამ ამ კაცაც უკვდავ-ყო თავისი სახელი.


მის პატარა აფთიაქის წინ წამოკიმულია ყოფ. მედიკ-მწარმოებლის ვე-

ბერთელა შენობა, მაგრამ ტრამვაის ვაგონში (მარშრუტი, 1, 2, 5, 6) ყოველთვის (ისმოდა და) ისმის ზემელის სახელი.

დღეს აღარ არის „ზემელი“. ელბაქიდის დაღმართის გაფართოებამ მტვრად აქცია და მიწასთან გაასწორა „ზემელი“, მაგრამ ტფილისელები მაინც არ ივიწყებენ „ზემელს“.

ტარტაროვის წინადადება: ასეთ ადგილებსა და პუნქტებს ახალი სახელწოდება მიეცეს. (ეს იქნება ერთგვარი სამისამართო ნიშანიც, როგორც არის, მაგ. მოედნები, ბალები, გასწორები და დიდი დაწესებულებები)

სი-ლი.



„უფასო ავტო“

„ტრიუპი“

სენსაციები და ტრიუკები თითქმის ყოველდღე ხდება ტფილისში.


შოფერს ვერის ხიდისკენ ავტომობილი მიყავდა, უცებ თავში შეუძვრა ორიგანლობის მუხა.

არც აცხელა, არც აცივა, შემოკრა ავტოს დეზები და ბარათაშვილის პერანგით გააქენა.

აღტაცებულმა შოფერი ზეშთავანების ცეცხლით. მიღიან მგზავრები ვერის ხიდზე და არავის არ ერიდება შოფერის მუხა. ყველას საკუთარი ფიქრი აწუხებს. მიღის სხვებთან ერთად სახკინმრეწვის სცენარისტი მორსკოი და თავის ცოლს უყვება ახალ სცენარის შინაარს.

შოფერს არაფრად ეპიტნავა მგზავრების უყურადღებობა; განსაკუთრებით მორსკოიზე მოუვიდა გუ-

ლი. უფრო მაგრად შემოკრა დეზები ავტომობილის და პირდაპირ მორსკოის დაუმიწხნა. მიზანი ოდნავ განზე მოხვდა, რის გამო მორსკოი გაქყლეტას გადაარჩა. აზარტში შესულმა შოფერმა, ავტო მოაჯირს დაატაკა და..



და ხილიდან მტკვარში გადააქენა.

მორსკოი მაშინ მოვიდა გონზე, როცა მტკვარში კვახივით დაეცა. გაახსენდა მეზღვაურობა (ძველი მეზღვაური) და მოუსვა ხელები. უცებ ცოლის კივილი მოესმა წყალიდან.

მივარდა ცოლს და ცოლიანად ნაპირზე გამოსცურა.

ეხლა მორსკოის ახალი სცენარიისათვის საკმაო მასალა აქვს. უკვე დაიწყო სცენარის წერა.

მორსკოი ამ სცენარს გადასცემს შოფერებს დასადგმელად. რეჟისორად ნიშნავს იმ შოფერს, რომელმაც მას ეს თემა მოულოდნელად უბოძა.

სენსაციის ამბისთანავე ხიდს მიამურეს სახკინმრეწვის ოპერატორებმა და დარჩენ ფრიალ დამწუხრებულნი, როცა მორსკოის ტრიუქს ვერ მოუსწრეს.

ნუ სწუხართ, ოპერატორებო! კიდევ ბევრჯერ მოხდება ასეთი ტრიუკები და თქვენ ყოველ შემთხვევისათვის მზად იყავით.

ცხვირგატეხილი.

ტკბილი სიზმარი (სოფ. კახათი, ზუგდიდის მაზრა)

დილით მივედი ქოხ-სამკითხველოში. სამკითხველო ღია იყო. აუარებელ გლეხებს მოეყარა თავი. ყველა გაზეთს კითხულობდა. ახალი გაზეთები და ჟურნალები მოვიდა. ძველი ჟურნალ-გაზეთები ლამაზად ელაგა თაროზე. გლეხები კმაყოფილი იყვნენ სამკითხველოს გამგის მუშაობით.

აქედან კოოპერატივში შევედი, სადა გუგუჩია ლმობიერად ეპყრობოდა გლეხებს, ჩარჩ-ვაჭრებს არ აძლევდა შაქარს და ესენაც ველარ ჰყიდდნ დიდ ფასებში.

სას.-სამ. კოოპერატივის გამგეს არსენ დარასელიას ჩამოეატნა სას.-სამ. მანქანები. გლეხობა კოლექტიურად იქნდა. არსენა ფხიზელი იყო, ქელებში არ დამთვრალიყო, გლეხები მას არ დაეძებდნ სოფელში.

სოფლად—ყველგან კომკავშირის ხელი, მისი ინიციატივობა ამასობაში დილის შვიდი საათი გამზდარიყო, და საჩქაროდ გამომეღვიძა.

— ნეტავი ყველაფერი ასე იყოს!—გავიფიქრე და ავდექი

„ართო“.

ანკეტი

როგორც ვიცით, უკვე ჩატარდნ სტუდენტების აღწერა ტფილისში. ჩვენ ხელში ჩაგვივარდა ერთი ანკეტა, შევსებული ერთ-ერთი სტუდენტის მიერ. ვფიქრობთ, რომ ინტერესს მოკლებული არ იქნება მისი გაცნობა, მით უმეტეს, რომ ანკეტა დამახასიათებელია.

1. წლოვანება. — კარგად არ მახსოვს, როდის დავიბადე, ვგონებ მაშინ უნივერსიტეტში არც ვიყავ შესული.

2. ეროვნება. — რაღა თქმა უნდა, ქართველი.

3. განათლების ცენზი. — საშუალო ხეირიანად არ დამისრულებია, რადგანც დრო აღარ მქონდა. ისე გიმნაზიის დამთავრების მოწმობა მაქვს.

4. სოციალური წარმოშობა. — გაკრეცილი მღვდლის, ახლა კი — კოლხური ნოქრის შვილი. ბებია ჩემი უმუშევარია. ბაბუა — შრომის უნარმოკლებული (პენსიას არ იღებს).

5. ოჯახური მდგომარეობა: ცოლიანი, უცოლო (გაუსვით ხაზი). — ხაზს ვერ გაუსვამ, რადგანაც არც ცოლიანი ვარ და არც უცოლო. შეყვარებული ვარ.

6. არსებობის წყარო. — რესტორანები: „სიმპატია“, „უიზნი“ (ყოფილი „გემო“, „ორიანტი“ და სხვები, სადაც ვინმე დამპატიყებს, ჯამაგირი არა მაქვს, რადგანაც სამსახურში ვერ მოვეწყვე.

7. კონტრაქტაციაზე ხართ აყვანილი. — აჰ, არ შეგქამოს ჭირმა. პროტექტა არ მაქვს და ისე ვინ ავიყვანს კონტრაქტაციაზე.

8. სტიპენდია გაქვთ. — მომისძენს, როგორც ნახუცვარის შვილს. სურვილი მაქვს აღვადგინო სტიპენდია და კონტრაქტაციაშიაც მოკვდე.

9. საცხოვრებელი ბინა. — ვცხოვრობ ბიძაშვილთან, რომელიც თავისი ორი ამხანაგით შეესახლა ნათესავს. (ეს უქანასკნელი კი დროებით შეხიზნული იყო ბიძის ცოლის დისწულის დეიდასთან).

10. აკადემიური მუშაობა. — მეცადინეობა. — მინდოდა საგნები ჩამებარებია, მაგრამ პროფესორები გადამტერებული მყავს და წინასწარ ვიცი, რომ ჩამჭრიან. ლექციებზე ვერ დავდივარ, რადგანაც უმთავრესი ლექციები არის საღამოობით, როცა მე დრო არ მაქვს (საბილიარლოში დავდივარ).

11. საზოგადოებრივი მუშაობა. — ვარ რუსთველის პროსპექტის მტებნელთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრი.

12. სტუდენტობის სტაჟი. — წლები დანამდვილებით არ მახსოვს. ვარ ვერძი სტუდენტი.

სწორია: ალღარ-აღღარსან

კაკთან

სოც.-დემ.—შემინდგე და ჰაპათ იე ცოდვანი ჩემი—უმუშევართ, დემონსტრაცია დავხვრიტე.

ჰაპათი:—„მაგ რა შეცოდება! ეგ წენი ხელობაა!



„პინოპტიოტი“

— ოო, სიკო, საიდან სადაო?

— გოსკინპროში გადავარდი, ძმაო, გოსკინპროში, სიომკები გვქონდა და სვანეთისკან ვიყავი...

— რა გიჭირს, ბიძია რა, მე კი ვერ მოვიკიდე ამ კინოში ფეხი და...

— რა ყრია მერე შიგ? 500 მან. მაქვს თვეში.

— შე კაცო. მეტი გინდა კიდევ რამე?! მე რომ გადავყევი მაგ კინო-არტისტობას და არაფერი გამომივიდა. აი წვერი მოუშვი, თმა გაიზარდე, მერე ისევ მოიპარსე და ათასი დავიდარაბა.

— ნიჭი, ძმაო, საჭიროა, მარა არც მარტო ნიჭი კმარა. თავი და თავი არის კულტურა (ცხვირს იწმინდს სახელოთი). თუ კაცს კულტურა არა აქვს, იმას ყოველ მხრივ დასშული აქვს შემოქმედების კარები, დღეს კულტ. რევოლიუციის ხანაში ვიმყოფებით.

— უცებ მოიხედა და შენიშნა, რომ ვიღაც უცნობი მოქალაქე დაჟინე-

ბით აცქერდება.

უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, კვლავ განაგრძეს ლაპარაკი.

— უკაცრავად, ყმაწვილო, ერთი წუთითი აჩეთ მოიწით! — მიმართა უცნობმა მოქალაქემ მილიციელის თანხლებით.

— წამოიყვანე ეს მოქალაქე კომისარიატში, — ეუბნება მილიციელს მოქალაქე.

— რაო? — გაიოცა სიკომ.

— მოქალაქე, თქვენ დაპატიმრებული ხართ!

— აი, სწორედ ეგ იყო წლებელ დამით რომ გაძარცვა და გაიპარა! — სთქვა მოქალაქემ.

— ამხანაგო, თქვენ სცდებით, — თავის იმართლებდა სიკო, — როგორ შემძლო მე წუხელი თქვენი ბინის გაძარცვა, როცა დღეს დილით გამოვედი გამსახლიდან, სადაც მე ექვსი თვე ვიჯექი! აი ხომ ხედავ, წვერულვაშის გაპარსვა ვერ მომისწია ჯერ?!

დონკიხოტი.

ჩემი პაპა და პაპის „პაპა“—(მუსოლინი)



ბჭოთა მშრომელ მოქალაქეს, რო ხედივთ, მევახშეები და სპეკულიან-აკ ყოველდღიურ მუშაობით ტები ტაძრიდან ვარეკა და ფულები სი წვლილი შეაქვს დღე-ღღელ ვადალყარა.

პაპი სხვა სახელმწიფოს ვალიუტე-ბითაც ვაჭრობს და იძენს სხვადასხვა სახელმწიფოების ობლიგაციებს. ასე, რომ, ვატიკანი სპეკულიაციაში არ ჩამორჩება არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს.

ეს რაა! პაპი კიდევ შორს მიდის. ის უშვებს საფოსტო მარკებს თავისი პორტრეტით. მიუხედავად იმისა, რომ ამ მარკას მხოლოდ „ვატიკანის“ სახელმწიფოში აქვს მსვლელობა, გა-უმაძიარ პაპის სტომას მინც დიდი ლუკმა ემატება ამ მარკებითაც.

არა მარტო ვატიკანში, ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოებში ეკ-ლესია ყოველგვარ საშუალებას და ხერხს მიმართავს თავისი მატერია-ლური მდგომარეობის გასაუმჯობე-სებლად.

მაგ. დიდი ხანი არ არის მას შემ-დეგ, რაც ბერლინის ეკლესიების ვა-ლაუნში ასეთი ნახატები გამოაქრეს დაახლოებით ასეთი წარწერით:



პ ა პ ა ორნი არიან, ტოლნი არიან ერთად მღერიან ომის არიას. მუსოლინი

აი, როგორ წარმოიშვა „ხსნის არ-მია“. ბურჟუაზიამ ხელი გაუწოდა მას, რადგან დაიწყო მისი „დაჭირე-ვის დროს“ ის გამოადგებოდა დამ-ხმარე ძალად.

ამ არმიის „გენერლობა“ (უფრო-სობა) მეგვედრეობით გადადიოდა.

ახლახან მოკვდა უკანასკნელი „გე-ნერალი“ ბუტსის დინასტიიდან. „ტა-ხტზე“ ავიდა ახალი დინასტიის „გე-ნერალი“ ედვარდ ზიგინს. მაგრამ „ბრძანებელი“ სულელურ მდგომარე-ობაში აღმოჩნდა, რადგან განსვენე-ბულ „მთავარსარდალს“ საქმე „ჩაე-კვაკვებია“ და „გაემასქნა“: არმი. ნთე-ლი ქონება ცოლის უფლებამ-განკარ-გულებამ დაეტოვებინა.

ახალმა „გენერალმა“ ყურები ჩამო-ჰყარა, მაგრამ, რა თქმა უნდა, შემო-სავალი მინც დიდი აქვს „ხსნის არ-მისა“. (გარდა ამისა, ხუმრობა საქმე ხომ არ არის 58 სახელმწიფოში არ-სებულ 25.000 „ოფიცირიან“ 10.000 „კორპუსიან“ არმიის „მთავარსარ-დალ“ ყოფნა?!).

ეს ციფრი (10.000 „კორპუსი“) თი-თქოს დამაფიქრებელი ციფრია და,



უმლო თათბირი საბჭოთა კავში-რის წინააღმდეგ.

რამ დღეს მთელი საბჭოთა კავ-ეს დედა-მამის ერთი მეგობარი არაკდა რომის პაპზე და ის „გა-ჯერ კიდევ მიკრულებულ საბ-სოვლის გლეხმაც.

ევარ საუკუნეზე მეტია, რაც პაპი, ეს თითქმის მთელი მსო-სის მაგლაჯუნა და ტირანი, ის-ამ გარეყა და ვატიკანში ჩაჰკე-



შენთვისაც დარეკ ხეკვდილის ზარი, გახსოვდეს მუდამ ეს მწარე წუთი. და ხსნა იმ ქვეყნად მხოლოდ ის არი, რომ ჩვენ შეგვწიროთ მანეთი ხუთი.

ფლიო ომის შემდეგ, როცა ბ თავის სასარგებლოდ უკანას-დ უნდა შემოიღო კაპიტალს ვა-ვეტ საბოლოო ბრძოლაში, რო-პი—ეს დაობებული და დახუ-დ ლეში ისევ წამოტივტივდა ეების ჰორიზონტზე.

ოლინმა თავისი შავი ზრახვე-ინით, ისევ „აღადგინა უფლე-რომის პაპი, რომელსაც მან მი-ტალეთის მუშების ნაოფლარი ილიონი ფულად და სხვა აუა-ი სიმდიდრე.

იკანი—პაპის სამეფო—არა, გან-ოული ტერიტორია რომში.

სახელმწიფოს სახელმწიფოში მს „ქრისტეს მოადგილე ქვეყ-“ (იგივე „პეტრე მოციქულის ებული“) რომის პაპი—პიუ მე-მეტე.

აი, ამ ღვთისნიერმა კაცმა 24 განმავლობაში დააცვლეინა სა და ვაჭირებულთ ბიები „სახელმწიფოს“ ფარგლებში, თანახმად მუსოლინთან ხელ-ლებისა, უფლება არ ჰქონდათ რათ არასასულიერო პირებს.

გი ღვთისნიერი პაპა ნიანვის ღებს აფრქვევს საბჭოთა კავში-განდევნილ კონტრ-რევილიუ-რთა „სასარგებლოდ“).

ბ, ასე ძვირი დაუჯდა მუსო-რომის პაპზე „დაჭოწინება“, ამ „შეუღლებიდან“ სასიძო-სარგებლობას მოეღის, ვიდრე დაუჯდა. ფაშისტურ იტალე-რესტიე აიწია და ავტორიტე-ალიდდა.

მან მორწმუნეთა „არმიის“ მობილი-ზაცია მოახდინა.

არსებობს ევროპაში პაპის ე. წ. „ხსნის არმია“.

ეს არმია დაარსებულია ინგლისელ ვილიამს ბუტსის მიერ.

ბუტსი დაიბადა ასი წლის წინედ. ის იყო სულით ავადმყოფი, არა-ნორმალური ქაყის, მაგრამ ავანტიუ-რისტული უნარით. დაიარებოდა ლონდონისა და სხვა ქალაქების მი-ყრუებულ ადგილებში და, როგორც მაშინ ამბობდენ, „მაიმუნობდა“. მას მალე აჰყვა ლოთებისა, პროსტ-ტუტ-კებისა და ქუჩის მაწანწალათა ბრბო, რომელმაც ის თავის „გენერალად“ გა-მოაცხადა.



„შიკრა პაპის ჯიბე, შიგ ვერ ვხედავ ბრძელი კაპა.“

ხუთ მანეთს რომელი .მორწმუნე დაიხარებს საცხონებლად! ასე იაფად იძლევა ეკლესია ვიხას სამოთხეში შესასვლელად. (ეს ხდება მენშევიკე-ბის გერმანიაში. რადგანაც სამოთხის



ქრისტიანობის გასაგვრებლად დაიძრა მოკრწმუნეთაარმია.

შესაძლებელია, ზოგიერთ საბჭოთა მოქალაქეს კიდევ შეეშინდეს მი-ი-რას ვახდება ჩვენი წითელი არ-მია ამოდენა ჯგირთან, თუ რომის პაპამ „ჯგაროსნული ომი“ გამოაცხადა?!

და, მართლაც, როგორც ფაფხურო-ბენ და ინდაურებივით იბერკიან, ისეთ სიძლიერს რომ წარმოადგენდეს „ხსნის არმია“—პაპის არმია, საბჭოე-ბის წინააღმდეგ „ჯგაროსნული ომი“ ამდენხანს მოხდებოდა.

მაგრამ ეს არის ნაყარ-ნუყართა, გა-რეყართა და კრეტინებთა არმია, რო-მელსაც წითელი არმიის ხსენებაზე (იებ-ცხელების ცახცახი უვარდება ტანში.

გარდა ამისა მათ ყიყინსა და ზარე-ბის რეკას ჩრდილავს მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ძღვევამოსილი ყი-ყინა:

„ხელები შორს საბჭოთა კავშირი-საგან“!

„ძირს პაპის ავანტიურა“!

„გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუ-ციას“!

ნ. ს.



ბირჟა და ვატიკანი.

„თუ ფული ტრიალში არ არის, დარია!“—ასე მსჯელობს რომის და ხელს ურევს ფულების ტომ-პაპმა თავისი სპეკულიანტ-ფი-ტები გამოუშვა ბირჟაზე.

ბ, ეს იმ „ქრისტეს მოადგილე“, ლმაც, პაპის მოძღვრებისდა მი-

დამყარება „ჯერ-ჯერობით“ ვერ შე-სძლეს ქვეყნად, ხალხს უადილებენ იმ ქვეყნად სამოთხეში შესვლას).

ტერორზე დამყარებული ფაშიზმი ცდილობს მომავალ კადრების შექმ-ნას.

ამ მიზნით იტალიეთში მუსოლინის თაოსნობით და პაპის ლოცვა-კურთ-ხევით შექმნილი ბავშვების ორგანი-ზაცია: „ბალილა“. (ლეგენდარული ბავშვი, რომელმაც თავის სამშობლო გენუაში 1847 წელში აჯანყება მოა-წყო ავსტრიელების წინააღმდეგ).

ნიადაგ-შერყეული ფაშიზმი, რო-მელსაც დიდი ხნის არსებობა არ უწე-რია, ცდილობს მოზარდი თათბის თა-ვისკენ გადაბირებას და მათ აღზრდას თავის ყაიდაზე. რომის პაპი („ქრის-ტეს მოადგილე“) მუსოლინთან ერ-თად ამ ბავშვებს ასწავლის „ცეცხლი-თა და მახვილით“ ბრძოლას მუშათა კალსის წინააღმდეგ.


პაპს უნდოდა ჩვენთვის „ჯგაროს-ნული ომი“ გამოეცხადებია. ამისთვის



და ასე ნებაყოფლობით მიღებინეს ხალხს ქრისტეს სარ ვშენობა.

„პა-პა-პა-პა“

მღვდლის ფიჭვები



შენი ცდა და ზრახვა ფუჭია, ამაო.
ჩვენ ვიცით ასეთი მოჭერა, მამაო.

ეს რა ესმის ამ ჩვენს ყურებს,
გადვირეთ პა-პა-პა-პა,
თურმე ჭკვაში შებრეკილა
ეწმინდესი რომის პაპა.
როცა თვისი მან სამრევლო
კადასანსლა, გადაყლაპა,
ჯვაროსნულად გალაშქრებას
თურმე ფიქრობს ჩვენი პაპა.
ეჰ, ვინ იცის — საბჭოეთი
მას გონია ცივი ფაფა.
ფეხს მოიტენს უსათუოთ
გაბერილი რომის პაპა.
იქნებ ბევრი ნებვირობი
მოემატა მას ქვანია
და მეოცე საუკუნე
მეთორმეტე-ლა ჰგონია!
ღმერთო, ღმერთო, შენ გვიშველე,
მოგვაშორე ცოდვის ტაფა,
თურმე მდიდრებს უყიდათ
დოლარებად რომის პაპა.
ეს რა ესმის ამ ჩვენს ყურებს,
ვახ, სირცხვილო... პა-პა-პა-პა.
ვაი, როგორ შერყეულა
ჭკუისაგან რომის პაპა?!
კუდიანი მღვდელი.

სუფთა ფურცლები

ორი ახალგაზრდა პოეტი უკმაყოფილოთ ბუზღუნობდა გამომცემლობა „სრომას“-ს შესავალთან.

— ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს: ლექსები ვარგია, მაგრამ ქაღალდი არა გვაქვსო...

— საკვირველია სწორედ ამ გამომცემლობის საქმე-დაუმატა მეორემ, — აქ მიუღღსურებელი ათენებ, რითმებს დიოგენის ფარნით. დაეძებ კედლები შეთეთრებულია ფერადოვან ლექსებით, მთელი უცხო-სიტყვათა ლექსიკონი უკვე გალექსილია და ამ ბუმბერაზულ შრომის შედეგი ჯიბით უნდა ატარო.

— დალახვროს ემშაკმა, კაცს ლექსების წერა შეგეძლოს და წიგნს ვერ ბეჭდავდე?!

ერთი ახალგაზრდა კიდევ მიემატა მათ. იგი მხიარულათ მოაფრიალებდა თეთრ ყდიან წიგნაკს.

— დაგიბეჭდეს?
— უკვე გამოვიდა გასაყიდათ. ნახეთ!

უკმაყოფილო პოეტები ათროლებული თითებით ფურცლავდნ ახალ წიგნს.

ლექსების კრებული ლამაზათ იყო გამომცემული. თეთრი ყდა გახვეული იყო სპეციალურად დაბეჭდილ ფერად საყდემში. პირველი ფურცელი სრულიად ცარიელი იყო. მეორე ფურცელზე ერთი სიტყვა (ავტორის გვარი).. მესამე ფურცელი ისევ ცარიელი. მეოთხეზე წიგნის სახელწოდება, მეხუ-

თეზე — რომაული დიდი ციფრი „I“. მეექვსე ფურცლიდან კი იწყებოდა თვით ლექსები, — ყოველ გვერდზე ორი-სამი ტაეპი იყო მოთავსებული, მთელი წიგნი კი 50 გვერდზე იყო გაჭიმული.

ლექსების დასასრულსაც ბლომათ იყო ცარიელი გვერდები.

პოეტმა, რომელსაც ლექსები არ დაუბეჭდეს, ირონიულათ გაიღიმა:

— ამ წიგნში ცარიელი ქაღალდი უფრო მეტია, ვიდრე ნაბეჭდი, ფასი კი 50 კაპ. — მეტად დილია.

— აქ ლექსების დაბეჭდვაზე უარს ამბობენ, ქაღალდი არ გვაქვს — დაუმატა მეორემ, ხოლო მეორე ადგილზე ხუთ ლექსს ორას გარდზე სჭიმავენ და აქედან 15—20 გვერდი სავსებით ცარიელია: ეს არის ქაღალდის მომჭირნეობა?

— ჯერ ერთი თქვენ არაფერი გაგეგებათ ესთეთიკის. სუფთა ფურცლები და თითო გვერდზე ორ-ორი სტრიქონი, ეს უდიდესი ესთეთიკაა. მეორე, მარტო ჩემი წიგნი არ დაბეჭდილა ასე. სხვებისაც ასე იბეჭდება. ჯერ ის რა ღირს, რომ ჩემს წიგნს გამოცემის წელიწადი ასე აწერიო:

MCM XIX

რას ნიშნავს ეს?

— ეს ნიშნავს 1929 წელს, რომაულად ციფრია! — სიამაყით სთქვა „ესტეტიურად“ გამომცემულ წიგნის ავტორმა.

ბრი-ბრი.

გამოცანები

(დუაეთისათვის)

ის ვინ არის, ვინც რომ გლეხებს მოუფრნა დიდი ხრიკი. სახდაზღვევის ფული ყლაპა, ხალხს გააძრო კუდის რიკი. ეინვალიდან გამოაგდეს, და ტფილისში ჩაესვენა; ხუთმეტ თუმნიან ადგილზედ იქვე ტკბილად მოისვენა?

—:—
მეორეა პოლკოვნიკი, დროზე ჩინი აიყარა. მოკალათდა ახალშენში, მან უსაქმოდ არ იარა. კბილი გაპკრა იქ სიმსუქნეს, ყველას მუშტებს უღერებდა, რომ დროზე არ წასულაიყო, წმენდა ნანას უმღეროდა.. გვერდით უდგა ხელჭევიით, ფულში ხელი აუტრია, შაქარ-ბრინჯი გააწყალა, რძეში წყალი გაურია. ის ვინ არის ვაჭრებმა, რომ თავის მეფედ აღიარეს; ხელს უწყობს და ეხმარება, (მას რომც კითხოთ არც ივარებს).

—:—
აქ სხვაც ბევრი ფაზი-ფუნობს ყველგან ხელებს აფათურებს, ტარტაროზჯან კარგს იზამდი თუ აუწევს ამათ ყურებს.


ტარ-ფინ.



თავდასხმა
ტრამვაის სამმართველოზე



ლიანდაგზე სდგას „ტაჩკა“
და წაქცეული ვირი,
მან განუთქვა სული,
წაიღო თქვენი ჭირი.
როგორც ექსპრესი შორით
მოშქრის ვაგონი ჩქარი,
ზედ სთვლემს ვატმანი მთვრალი.
ის ტკბილ სიზმარში არი...
და მიაქროლებს ვით ქარს
ვაგონს ვატმანი მთვრალი,
ვაი საწყალი „ტაჩკა“,
ვაი მგზავრების ბრალი!...




ტრამვაის ბულალტერიას
გვაში ამშვენებს ორია,
ერთი ტმარ-ობანეზოში
თავნელი პროტექტორია,
გვერდს უზის მისი დისწული
მიქირტუმოში გვარადა,
ორივე კერძო „ფოდრაჩიკს“
ამოსდგომია ფარადა,
და საფასური ფოდრაჩიკს
ეძლევა ორჯერ მეტია,
ორივე სამმართველოდან
გახადენ — გასახვეტია.



მეშვიდე ნომერს რონოდას,
ველოდით. დაკარგულიყო,
მწარეთ მოვსთქვამდით მგზავრები:
„სად დაგვეკარგე სულიყო!
შენს ლოდინში ვართ მთელი დღე,
გამოგვერია ჭადარა,
შენს მოვლინებას სადგურზე,
სჩანს მოვესწრებით აღარა“..
ასე მოვსთქვამდით მწარეთა
მგზავრები დაჩაგრულები,
და სამმართველოს ტრამვაის
წვევლიდენ ჩვენი გულეები.




ზუბინებსა, — სადგურის
უფროსს — ვინაც ნახავს,
(ეს მისთანა უფროსი
„ტარტაროზის“ ხახახს!).
ვაიგონებს: „ავად ვარ:
მტკივა, მეწვის, გულიო, —
სესხზე ხელსა რად აწერთ? —
„პრაპალ“ თქვენი ფულიო“.
მის „სიბრძნეს“ რომ მოისმენს,
მკითხველს შეებრალება,
მოუხდება აღბად მას
თვითონ „გაპრაპალება“.



თუ ვისმეს გინდათ რომ დავხაყონ,
როგორც „ბიტკი“, როგორც „კა-
ტლეთი“,
იხწავლოთ ფრენა, მარდათ სტომა,
გახდეთ ატლეთი, —
ან სირენას ხმით, რომ იმღეროთ
„ვუი და ვაი“
აგისრულდებათ, თუ იმგზავრებთ
ერთხელ ტრამვაით.



კომპარტიაში რა უნდა
ილინას ტატიანასა, —
პოლიციელს ცოლსა და
ყოფილი ხალხის დამასა?



— „ახ რა ცუდი დრო დადგა,
პრაშლა ჩვენი ვრემია!“
ფიქრობს არუთინოვი
სახელად ერემია.
თადეოზიც ბანს აძლევს,
ორივე დაშნაკებია,
ხატისოვის ერთგულნი
წარმოების მტრებია.



სერგეენკო. დღეს მოლარე,
მოხელეა ძველი,
გუბერნატორის ყული, — მონა
და იმისი მცველი.

საიანოვი სუსანა

აქ ფულის მიმღებთ არის,
მისთანა შემოგიყვირებს
სულ დაგებნევა დავთარი,
მუშებს ექცევა უხეშად,
ფიცხია, მიუკარები.
წარმოებაში „ქალბატონს“
უნდა დაუხშოთ კარები.



გმირი

„აცხონოს ღმერთმა“

მ. ზურჯანი. სასამართლოს კედლ-გაზეთი ბევრის იყო აქ „გამზეთი“. სახელად ჰქვიოდა მას „ჩვენი ავ-კარ-გი“. საქმისთვის იყო ის შეტად მარგი, მაგრამ ბევრისთვის — „ზედმეტი ბარგი“. რედკოლეგიამ მახე დაუგო და წესიც აუგო: „ყოფნა, არ ყოფნა არის სულ ერთი, საიქიოში გაცხონებს ღმერთი“.

მომართვა № 10173

ო. ზურბეთი. (ტროპიკული სადგური). გამგეებს და თანაშემწეთ მოუმატეს ჯამაგირი. დაბალ მოსამსახურეებს ხელში დარჩათ მხოლოდ ჩირი. ეს გამგეო, თანაშემწე, მოადგილე და სხვა „გმირი“. დარაჯებს და შიკრიკებს კი სხვა ყუჭი აქვთ და სხვა პირი.

მუჰთი-ჟლაპია

მორი. ჩვენი გრიზა მურადოვა ჩამოუვლის რესტორანებს. გამოძღება, გამოთვრება და შემდეგ კი იყაყანებს. მას ვერ მოსთხოვს აქ ვერაფერს გაასწოროს ანგა-



როში, რადგან გორში დიდ-პატარას სუყველას აქვს შისი შიში. მოსთხოვნაზე გაიკვირვებს:—ხა-ხა-ხა-ხა... შეხეთ ამას!... სასადილოს განვაგებდი დავეჩვიე მუქთად ჰამას.
ს. მელია.

„პო აზიპკუ“


მიათურა (სავათმყოფო). ამას წინედ გარდაიცვალა ავათმყოფი ორი; და რადგანაც გასავლელი გზა მათ ჰქონდათ შორი, გაამზადეს კუბოში და გაუგზავნეს მშობლებსა, ქერივებსა და ობლებს. მთელ ორ სოფელს აყრუებდა ტირილი და მოთქმა. და წაიღო სამწუხაროდ კუბო კაცმა ოთხმა. პირდაღებულ საფლავის წინ მკვდარს ეხვევა დედა... და, ჰა, უცბად წამოვარდა, გულზე ეცა ელდა. დაიყვირა:—ეს სხვა არის, არა—ჩემი შვილი!—შეწყდა ტრემლი, თმების წეწვა, მოთქმა და ტირილი.

და ასეთი საქმე მოხდა იქაც, მეორესთან. გამოიქცენ და მივარდენ ისინი გამგესთან. უპასუხეს:—„პო აზიპკე“ შეგვეცვლია ჩვენ ღამით. გაუცვალეთ ერთმანეთს და ქვით იქნებით ამით!

ორი.

ს. ზემომოქმელი (გურია) არსებობდა აქ გლეხკომი. ბევრი ჰქონდა ხარჩო, ღომი. იპოლიტემ ხარბად სჭამა, (კატლეტები მას ეამა). ამ საქმეში მას შველიდენ ნიკოლოზი და თან სერგო. (და აღაპი სასადილოს აქ მათ გარდა სხვებსაც ერგო). და გაკოტრდა ეს გლეხკომი, აღარ ჰქონდა ხარჩო, ღომი. მოკლე ხანში სასადილოს უგალობეს „სულთანა“ და შემდეგ კი თვით გლეხკომიც დაედგნა უკან თანა.

„ნ ა ც ნ ო ბ ი“



— წავიდეთ, კოლპერტივში შალეულობა მიუღიათ!
— კი, მაგრამ დღეს ჩვენი ნაცნობი ნოქარი არ იქნება კოლპერტივში.



სმა ქამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია,
რასაც შევსჭამთ ჩვენია, რაც არა—დაკარგულია.

ხ მ ა ნ ი მ ლ ა ლ ა დ ე ბ ე ლ თ ა ნ ი

რომი. კათოლიკეთა დიდი ტაძარი.
დღეს იქ დიდი ფუსფუსია. სწორავს თვით პაპოჩკა (იგულისხმეთ რომის პაპა), რომელსაც თავის შეფს უნდა შეევედროს ბოლშევიკთა დაღუპვას და ჩვენი ქარხნების დანგრევას, სადაც მდიდარი ხალხის სულის შემხუთველი საგნები მზადდება.
წირვა იწყება.
პაპი: — ბოლშევიკთა მოსპობისათვის, საბჭოთა ხელისუფლების განადგურებისათვის, კომინტერნის დარღვევისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ!
ფაშისტები, სოც.-ფაშისტები, იმპერიალისტ.მონარქისტ ოპორტუნისტები:—ა-ა-მინ!
— რათა მოსრნას უფალმან ღმერთმან ჩვენმან კომუნისტი ყოველი შეჩვენებულ-ი!
იგივენი: —მოგვმადლე უფალო-ო-ო.
და სხ.
ლონდონი. უდიდესი საკრებულო.
წირავს იწყებს კენტერბერის არქივისკოპოსი.
არქივისკოპოსი:—პროლეტარიატის დიქტატურის დასამარებისათვის, რუსეთიდან ჩვენი ძველი ვალების აღებისათვის, მონარქისტული წესწყობილების აღდგენისათვის უფლისა მიმართ ვილოცო-ო-ოთ.
იგინივენი, ვინც რომში, კონსერვატორების და მაკდონალდის მთავრობის დართვით:—უფალო შეისმინე-ე-ე. და სხ..
ნიუ-იორკი. სინაგოგა.

ლოცულობს რაბინი: რაბინთაი.
რავენი: — წითლების ბატონობის დამხობისათვის საწარმოო-საფინანსო გეგმების ჩაშლისათვის ხუთწლედის არ შესრულებისათვის და სხ. ამისთანებისათვი იელოვოსა ჩვენსა შევედრო-ო-ოთ.
იგივენი, ჰუვერის და მისთა ძმათა დართვით: — იელოვაე შეისმინე-ე-ე.
და სხ.
პარიზი. უდიდესი ტაძარი.
არქივისკოპოსი: — ინტერვენციის წარმატებით მოწყობისათვის, ომის სასურველად მომზადებისათვის, ბოლშევიკთა დამარცხებისათვის სულითა და წრფელითა ვილოცოთ!
იმავე კატეგორიის ხალხი: უფალო შეგვიწყალებე-ე!
და სხ.
ბერლინი: საკრებულო უდიდესი.
პასტორ-პატერები: — რუსეთთან მეგობრული (რა-პალოს) ხელშეკრულების დარღვევისათვის, ანტანტის მხარეზე გერმანიის საბოლოოთ გადაბირებისათვის, იუნგის გეგმის გატარებისათვის და საბჭოთა კავშირის რაც შეიძლება ადრე დანგრევისათვის...
იგივე ხალხი: — ა-ა-მინ...
და სხ.
ისწავლიან დედოფლები კითხვას თუ არა, ანუ ისმენენ ზეცის „კვარტირანტები“ ამ საცოდავების ვედრებას თუ არა?
ალლარ-საღღარსან

მართლმადიდებელთა და კათოლიკებს ხშირად მოხდით ერთმანეთში დავა ქრისტეს მოძღვრების გაგების შესახებ.

„პ რ ი ზ ი“

დაიწყო ერწოს ყოფილ „თაიგულის“ წევრთა შემოწმება, რომლებსაც ერთმანეთი „შეჯიბრში“ ჰყავდით გამოწვეული ფულების გაფლანგვაში.

როგორც ირკვევა, პირველ „ჯილდოს“ მიიღებს ყოფილი თემსაბჭოს თავმჯდომარე — გელაშვილი, რომელსაც 4000 მანეთი „შემოეკება“.

მეორე ადგილს დაიჭირეს ყოფ. თემკომის მდივანი — არტემ თუშური, რომელმაც „თავის საჭიროებისათვის“ მოიხმარა 3000 მანეთი სახელმწიფო ფული.

მესამე ადგილს დაიჭირენ: ყოფ. ებოს თავმჯდომარე — ფარნა წიკლაური, წითელი სასადილოს ყოფ. გამგე — „პურიჭამიაშვილი“ დავითი და ყოფილი ერწო-თიანეთის ადმინგანის უფროსი — ბუწენკალური, რომლებსაც „შემოეხარჯათ“ 600 მანეთამდე.

„შეჯიბრი“-ს შედეგებს კომისია ამ დღეებში გამოაქვეყნებს, რასაც ხალხი მოუთმენლად ელის. შევარდენი.




წაიხსუბენ: პატრი, მღვდელი, ქრისტეს სტატუსს წვერში ხელი.

ქუთაისი


ნეტავი ნატერა მომცა მე, ეს ნატერა ამიხდებოდეს. კომუნალ განყოფილება თავის საქმესა ხედებოდეს. დამწვარი სახლის ნანგრევები ხალხს თავში არ ეყრებოდეს. სიბნელით მოცულ ქუჩები ერთბაშად განათდებოდეს. პატარა წვიმის დროსაც კი ტალახი არა დგებოდეს. ყოველგან სასადილოში ესეც კი მოიზღებოდეს: დილით მოთხოვნებილ საუზმე სადილით არ იქცეოდეს; შემოსულ მოქალაქისთვის სკამიც კი იზოფებოდეს. საპარიკმახერო პირველში სინათლე აღარ ჭრებოდეს;

მუშტარნი გატყავებულნი სიმწრისგან აღარ კვდებოდეს. და სიბინძურე ჩვეული დღეიდან მოიშლებოდეს.

ქაურ გლეხთა სახლშია ღამეც კი გაითეოდეს. წავედით ეგრე სუფთათა, კენარი არ გვესუოდეს. **პრიმიწა.**




ჯვაროსნული ნაბიჯი ახალ ომისაკენ



— ბაბა, შენ აკი დამპირდი, რომ..
— ჩუმად! ბაბა არ დამიძახო აწი, თორემ..

ო ზ უ რ გ ე თ ი

„გლავებუნი“ ქარხნის ბიჭი თოძი იჯდა მაგიდასთან დაფიქრებული! აქტივს და პასივს სულ აეშალა უთაო თავი—უგულო გული. მაშინ ფიქრობდა: ღმერთო მალალო, როდის განვწორდე ამ ოხერ ციფრებს! სასადილოში უღენტი ფიქრობს, მე კი აქ ვზივარ (ო, გული მიცემს) ამ დროს ქუჩაში ლამაზი ქვსტით ქალისა კაბამ გაიზოილა! უცებ წამოხტა. თავბრუ დაესხა და ავონიამ გაატილა. წუთმა წაიღო ფიქრების გროვა—გზად გამოუდგა ქალსა



კაბიანს!—ქარხნისა გამგემ ძლივსა იპოვა, დღეს ის თვის სტოლთან ბაწრით აბია...

ქანელი ბზიკი.

თანამედროვე ანდაზები 15

- ავი გამგე წმენდის დროსაც ავიაო.
- პროტექციამ რა ნახაო, და უმუშევრობა ნახაო.
- კარგი მომუშავე დირექტორი საყვედურს არ მიიღებს.
- პროტექციით ნაშოვნი სამსახური წმენდის დროს გამოჩნდებაო.
- დღევანდელი დარაჯობა მირჩევნია ხვალინდელ ინსტრუქტორობასო.
- ლოთი —ლოთს აეკიდა, სახლამდე მიმიყვანეო.
- სამი სამუშაო ადგილი ცხრა თავადმა გაიყოო.
- მოლარემ სთქვა: ვისაც რა დავაკელი, ყველა წამ-მწარდაო.
- წარმოებაში რამოდენიმე მუშის შრომა საკვარ-ტალო გეგმას ვერ შეასრულებს.

ფულა ბორბო

ფულა ბორბო, ვინ მოგინმო ჩემდა წინამძღვრად, ჩემი ქონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთად?! მარტვი რა უყავ, სად წარვიღე შეჭმული თანხა, რომელიც ეხლა კომისიამ ძლივს მიმონახა? ფულებთან ყოფნა სამსახურში ყოფილა გლახა. მაგრამ დამესხა კომისია მეტად ცხოველი, გამომიძიეს დაწერილებით საქმე ყოველი, — და შემამწყვდიეს აქ ციხეში... დაჰკეტეს კარი, არავინ მოდის.—არ მნახოოობს... სულში ჰქრის ქარი...
დ. ლეჩხუმელი.



მ. გაინანსუვილს (ქუთაისი) ებეჭდავთ თქვენს ლექსიდან იმ ადგილს, სადაც ახალი ცხოველის აღმოჩენაა: „უჩიბლად“ მღვდლებია ჟოფილი ჯპრინანი.. მალაჟში მროსევი, ღოკოში კამიანი.

ერთი რამიანი ღოკო მინც გამო უგზავნე ტვილისის ზოოლოგიურ პარკს!

ნოჟოსპირმლს (ფოთი). რას ამბობთ, კაცო?! თუ ეს ლექსი თქვენი პირველი ლექსია, პირდაპირ გენია ყოფილხართ:

ლექსის წერა დავაპირე
და კალმები სულ მოვპირე.
მომიფრინდა უცბად მუწა
და გვერდებში მაგრად მდრუწა.

უცხონდა მამის სული, ძალიან კარგად უქნია.

ნიორაწაულს (დუშეთი) ამ თქვენს პირველს წერილში წყალი მეტია, ნიორი კი ნაკლები; ამიერიდან ეცადეთ წყალი ნაკლები (ცოტა) იყოს, ხოლო ნიორი (სჯობია მარილი) მეტი. (ასეთია სატარტაროზო უბრალო კულინარობა. იხ. ამავე ნომერში“ ნახატი თქვენი თეატრის შესახებ.

ამრიპოს (აქვე) კიდევ კარგი, რომ შუა გზაზე ჩამოხტარხართ, თორემ თავისუფლების მოედანზე რომ გაჰყოლოდით ვაგონს, თქვენი „სამგზავრო შთაბეჭდილება“ არც უფსკერო გოდორში ჩაეტევოდა.

მურდულს (იფეთი ქუთ. ოლქი) აღმასკომის შესახებ იწერებით, რომ—არავინ არაფერს აკეთებს და:

ამის გამო, ტარტაროზო,
ვფიცავ ჩვენს მღვდელს ქრისტეფორეს,
ბინა ჩვენი აღმასკომის
მოგვაგონებს დიდ საღორეს.

ჩვენ ეჭვი შეგვდის ამ ამბის სიმართლეში, რადგან ამის დასადასტურებლად მღვდელს ჰფიცავთ.

ს. გმლას (გორი) წითელ სასადილოს „პოკრების“ შესახებ ვეწერთ, რომ:

ერთი მიტროპალიტა ჰგავს,
წვერი უგავს რომის პაპას.
რომ უყურო განცვიფრდები.
სადილზე რომ იწყებს ყლაპვას.

ყლაპვაში შეიძლება მართლაც ჰგავდეს რომის პაპას, მაგრამ რაც შეეხება წვერის ამბავს, უნდა ვითხრათ, რომ რომის პაპას წვერ-ულვაში სრულებით არა აქვს, მსახიობივით ვაპარსულია. (იხ. „ტარტაროზის“ ამ ნომერში მისი სურათები).

ნაღირ-მღლის (სამტრედია) უკომენტაროთ დავიწყოთ:

ისე შემთავარდა ჩვენი ათწლეული,
ვით თამრიკოს კოცნა და კოხტა მედია
როს ვუცქერ „პონჩიკებს“ მოკლე კაბიანებსა,
ქალწულებსა გიჟებს მხვდელ ფეხიანებსა, —
მაშინ ნდომის ნერწყვი ყელში მიჩერდება,
ალარ მშველის თხოვნა, ალარც შევედრება.

აი, ამ თქვენს შემოქმედებას ლევარსიმ ქვეშ ასეთი წარწერა გაუკეთა თქვენს საპასუხოთ:

ვაი, თქვენი ბრალი, გეკიდებათ ალი.
იწვით თქვენ საწყალი, გადაიხნით წყალი.
თავს გეხვევათ რეტი, ხართ ნამდვილი ცეტი,
ხსნა არ არის მეტი—უნდა დაგცხონ კეტი.

შანციის (სუფსა-ჩონჩხათი). განა კაცი იმისთვის უნდა გაიწმინდოს, რომ:

თავზე უოკე ახურავს
ტანზე პალტო აცვია?!

ამის მეტი ბრალდება თქვენს წერილში არ არის მის შესახებ; ხოლო ეს კი—ბრალდებათ არ ჩაეთვლება.

ჯვარი - ჯვარს

